ჩონგური

ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლისა

 და

სხვა მწერლების

ლექსების კრება,

შეკეთებული

კ. ლორთქიფანიძისაგან.

«ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს
განწირულის სულის კვნესა!»
ნ. ბარათაშვილი.

პეტერბურგი.
1864.
სამეცნიერო აკადემიის ტიპოგრაფიაში.

პოეტი და მოქალაქე,

პოემა

ნ. ნეკრასოვისა.

პოეტი და მოქალაქე.

მოქალაქე (შემოდის).

კიდევ მარტია, კვლავ მოჯმუსვნილა,
არაფერსა ჭსწერს — წამოწოლილა.

პოეტი.

ფეხ დაამატე,
რომ ის დარდობსთქო, ძლივს ცოცხალადქო —
და ჩემი სახე სრულად დახატე.

მოქალაქე.

კაი მოგივიდეს, კაი ეგ იყოს!
პატიოსნებას, სიმშვენიერეს
მაგაში, მენდე, კაცი ვერ ნახავს,

ხიცუდეს — დიახ და სისულელეს.
გორვას თუ იტუვი, მხეციც კი გორავს....

პოეტი.

მერე რა გნებავს?

მოქალაქე.

შენი შეხედვა გულღვიძლს მიკოდავს.

პოეტი.

თუ გეზიზღები, გაბძანდი გარეთ.

მოქალაქე.

ყური დამიგდე: სირცხვილი არი!
მორჩი მაგ წოლას, ადექი ჩქარად!
შენც ჭხედავ, რაც რომ დრო ეხლა არი;
თავისი ვალი ვისც ახსოვს მარად,
გინც არა ჭყიდის პატიოსნებას,
გისაც ნიჭი აქვს, სიმარჯვე, ძალა,
უნდ არ აძლევდეს თავს ძილის ნებას...

ბოეტი.

გსთქვათ, რომ მაგგვარი ვარ ვითომცა მე,
მაგრამ ჯერ უნდა მაჩვენო სიქმე.

მოქალაქე.

რა მესმის! სიქმე არ გაქვს შენ ვითომ?!
გაქვს, მაგრამ მხოლოდ დროებით გძინავს.
გამოიღვიძე და გაბედვითა
თავზარი დაეც უმართლოებას...

ბოეტი.

ჭო: «ვიცი რასაც ის მეუბნება».
მაგრამ მე რომ ვარ ფრთამოტეხილი?!
ძლიერ ვჭსწუხვარ, რომ თქმა მეზარება (აიღებს
ბუშკინის თხზულებას).
მშველო ბუშკინო! — ჭა, გადაშლილი,
წაიკითხე და მორჩი ყვედრებას.

მოქალაქე (ეკითხულობს).

«არ უნდა ავეავეო ცხოერების ტალღას,

არცა სიმდიდრეს, არც სისხლისა ღვრას,
ჩუენ შექმნილი ვართ აღტაცებისთვის,
სასმო ხმების და ლოცვებისთვის».

ბოეტი.

ოჰ, რა ხმებია, ოჰ, რა უებრო!...
მერწმუნე, მე და ეს ჩემი მუსა
რომ ვყოფილვიყოთ ჭკვიანი უფრო,
არ გავისწრიდი მე კალმით ხელსა!

მოქალაქე.

მშვენიერია დიახ ეს ხმები....
და საკვირველი აქვსთ იმათ ძალა,
ისე რომ ბოეტს ძილის დარდებ
გულიდამ უცებ მან გადაჰყარა,
ძლიერ მიამა—კიდეც დრო არი!
ვარ მონაწილე მეც აღტაცების,
მაგრამ, ბოეტო, შენი ლექსები
ჩემ თვალში უფრო ცხოველი არი,

ბოეტი.

რას მეუბნები, კაცო, არ ვიცი!

წიგნის წაკითხვა შენ კარგად იცი,
მაგრამ კრიტიკის რა გაგეგება!
შენ ამბობ, რომ მე ვარ დიდი ვინმე?
რომ ჰუშკინიცა ვერ შემედრება?
რას ამბობს ესა, შენი ჭირიმე?!

მოქალაქე.

ეგ არ მითქვამს მე!
უაზროთა ჭსწერ შენ ჰოემებსა
და ელეგიებს სულ ძველ კილოზე,
ლაზათი არ აქვს შენ სატირებსა,
მაგრამ მომწონან პატიოსნებით
და უმართლობის ცხარ დევნულებით,
შაირი შენი ხმოვანი არი,
ხარ შენ ჩვენშია შესანიშნავიც,
მაგრამ ამგვარად მოჩანს ვარსკვლავიც,
როცა ცაზედან მზე აღარ არი.
იმ დამეს, ეხლა ჩვენ რომ ვათენებთ
და რომელსაცა შიშით ვახსენებთ,
როცა მხეცები დარბოდნენ მარდად,
და კაცები კი ღოლვიდნენ მხდალად,
ჭეშმარიტების ლამპარი წმინდა
ძალუმ ხელებში გეჭირა მარად.

მაგრამ ხალხში კი ის არ ისურიდა
ნათლის სხივებსა ნაყოფიერად,
როგორც ლამპარი პოეტ-გენიის.
ნაპერწკალივით სიბნელეში ის
ძლივს იწოდა, ხან იწყებდა ფარფარს.
ზეცას ევედრე, რომ მაგ შენ ლამპარს
მოესწროს მალე მზე ცის სიღრმეში
და დაიფაროს იმის სხივებში!

არ სარ პუშკინი; მაგრამ სანამდის
ჩვენ საშობლოში მზე არა ნათობს,
სირცხვილია, რომ შენი ტალანტის
პატრონი ვინმე უხმოთ იყოს;
და კიდევ უფრო სირცხვილი არის,
რომ მამულისა უბედობის დროს
მშვენიერებას მიწისა და ცის
და ლამაზ ქალებს მან უგალობოს...

ქუხილი ჩუმობს და ზღვისა სარკეს
ცისა ლაჟვარდი მაღლიდან დაჰსტქერს
და ქარი ნელი, თითქო დაღლილი,
ძლივსღა აქანებს გაშლილ იალქნებს.
სომალდი ბირბის შედიდურათა,
და მგზავრებია ყველა მშვიდათა,

თითქო ისინი ხედვიდენ სათლად,
რომ ხმელზე დგასან ხომალდის ნაცვლად.
მაგრამ იშექა, ქარი ღრიალებს
და თოკებსა ჭგლეჯს და ანძას არხევს,—
რა დროს ჭადრაკის თამაში არი,
რა დროს სიმღერის ღიღინი არი!
აგერ ქოფაკი — შიშსა ისიც გრძნობს
და გაბრაზებით უყეფს ის ქარსა:
სხვა რამ საქმეზედ აღარა ჭფიქრობს....
და შენ, ბოეტო, აბა იქ რასა?
ნუ თუ ხომალდის ოთახში ამ დროს
დაიწყებ გრძნობით შენ ჩანგის კვრასა,
რომ მით ზარმაცებს ყური დაუტკბო,
და მით ღრიალი ქარის გაუქრო?

გჭსთქვათ, რომ ახლა შენ ადგეხარ გზასა სწორს,
მაგრამ რას არგებ იმით სამშობლოს,
სადაცა ყველა თავისთავს მხოლოდ,
როგორც რომ კერჭსა, მდაბლად ჭსცემს თაყვანს?
გინდა გადვითვლი მე სულ სათითოდ
გისაც მამულის სიყვარული სწამს.
უფალმა ხელი მათ მოუმართოს....
და დანარჩენსა? მათი სხვა რა ვსთქო:
ისინი სდევენ საქმეს უბრალოს,

მათი ცხოვრება არი სულ ურგო,
ზოგი მათგანი ქურდობს, ან ხალხს ჭუვლეფს,
ზოგი კი მუდამ მშვენიერად დამღერს,
და ზოგი არი.... ზოგია ბრძენი,
მათი საქმეა, რომ ილაქლაქონ.
თავს იმართლებენ მუდამ ისენი,
თუ ჭკითხე, რისთვის ზიან უსაქმო:
ბეტუვიან, რომა კეთილი ჩვენ ხალხს
არ დაეურება ეხლანდელ დროში,
უბრალოდ ჩვენ ვერ დავიღუპავთ თავს,
გელით, იქნება, ბედმა შემდგომში
მოანიჭოს ხალხს ბედნიერება,
და ჩვენ კი მითაც ვართ მოხარული,
რომ არ გვიქნია ხალხისთვის ვნება.
ეშმაკურათა აქ დათვარული
თავისთავისა ბრმად მოუვარება,
მაგრამ.... შენ, ძმაო, ვინც უნდა იყო,
ეს სასიზღარი ლოდიკა ნუ გჯერს!
ერიდე, რომ ძმა მათი არ იყო,
ვინც საქმეს ელტვის, ლაქლაქობს კი ბევრს,
და უვნებლების რაზეშიც არ ჩასდგე,
თუ შეგიძლიან ურგოდ არ ჩაჭვეკდე!
არ შეუძლიან შვილს მშვიდად იყოს,
თუ ჭხედავს ღვიძლი დედის ტანჯვასა,

არ იქნება, რომ არ უპასუხოს
ღირს მოქალაქემ მამულის ხმასა,
მეტი ყველრება რალაა მისთვის....
ტეტხლში ჩავარდი შენ მამულისთვის,
შენი ჭაზრისთვის, სიყვარულისთვის....
ჩავარდი, გაჭქრი უსაყვედუროდ,
მენდე, არ იქნეს სიკვდილი ურგოდ.....

და შენ, პოეტო, რჩეულო ზეცის,
მქადაგებელო ჭეშმარიტების,
ნუ გკერა, რომა, ვისაც ლუკმა დღის
არ აქვს, არ არის ღირსი მაგ ჩანგის!
ნუ გკერა, რომ სულ წახდნენ კაცები;
მათ დმერთი გულში არ გაჭქრობიათ;
მენდე, მორწმუნე გულის ტანჯვები
თანგრძნობას ყველთვის აღუძრვენ იმათ!
შენ მოქალაქე იყავ ამ სოფლის!
და ხელოვნებას რომ მსახურებდე,
არ დაივიწყო მცნება მაცხოვრის,
რომ მოძმის სარგოდ უნდა ცხოვრებდე,
რომ შენ ტალანტი უნდ ამსახურო
გრძნობას საერთო სიყვარულისას;

და ნიჭი ღვთისგან უხვად გაქვს თუ რომ,
გამოჩენასა ნუ ეძებ მისს:
შენ ნაშრომშია თვითონვე ბრწყინვას
დაიწყებს მისი ცხოველი შუქი.
აბა შეხედე, თუ მაგარსა ქვას
როგორა ამტვრევს მუშის ჩაქუჩი
და მის ქვეშიდამ აქეთ და იქით
სულ ნაპერწკლები სცვივა თავისით!

პოეტი.

ხომ გაათავე?.... ძილს ძლივ გადვურჩი.
ნამეტანს მოსთხოვ კაცს ჩემისთანას.
სად შევძლებთ და რით ჩვენ იმოდენას!
სხვების სწავლებას უნდა ტალანტი,
უნდა მასთანვე სულისა ძალა,
და ჩვენ... ჩვენ რა ვართ? — სულითა ფანტი,
თავის მოყვარე ლ მოშიშარა;
სწორე უნდა ვჭსთქვა, არ ვლირვართ ფარად.
ჩვენ გვინდა გავხდეთ სახელოვანად,
და გზას არ ავჭსტდეთ სულ იმას ვჭსწუხვართ,
და კარგ გატკეპნილ ბილიკს ვადგევართ,
თუ გარდვუხვიეთ — უნდ დავიღუპოთ,
ქვეყანაში თავს ვეღარ გამოვუოფთ!

გაი შენ, პოეტის ბედო საწყალო!,
ნეტავი ჩუმად მეოთე მოქალაქეს:
ის აკვნიდამა მუზას არ ჰსწყალობს.
თავისუფლათა და თავის საქმეს,
როგორც თვითონ სურს, ისე წაიყვანს,
და სამადლობელს მისდეკს ის მიზანს;
ამის შრომასა ნაყოფიც მოაქვს,
და იმის ბასსს.....

მოქალაქე.

მერწმუნე, რომ ვერ ამბობ მოსაწონს.
მაგ ჭაზრისა ხარ? შენ ამბობ მაგას?
გგონებ იტყოდი შენ ჭაზრს უფრო სწორს:
პოეტობისთვის ნუ იწუხებ თავს,
მოქალაქედ კი იყო, ვალი გაქვს.
და მოქალაქე, გითხრა, რა არის?
ის არის ღირსი შვილი მამულის.
ახ, სამეოფად ჩვენში ვაჭრები,
ჩინოვნიკები, კადეტებიცა,
ბევრია თავად-აზნაურები,
გვეყოფა თითქმის პოეტებიცა,
გვეჭირება კი მოქალაქები!
გვეჭირება კი, მაგრამ სად არი?

ამა ვინ არა ხარ სენატორი,
არ ხარ მწერალი და არც სარდალი,
არც მამაცი და არც ბლანტატორი,
და მოქალაქე ხარ მშობი მსარის?
სად ხარ? ხმა გამეც! ხმა არსით არის:
თითქმის პოეტიც ვერ წარმოიდგენს
იმის იდეალს სულით ლონიერს!
მაგრამ ჩვენში თუ არის ეხლა ის,
გინ იცის რამდენ ცხელცხელ ცრემლსა ღვრის!!...

და შენ თავისთავს უდარებდი მას!?

როდესაც ქუხს და ქვესკნელში ღუპავს
სასოებისა პაწაწა ნავსა,
მაშინ პოეტი იწყებს წყევლასა,
თუ არა — კვნესას, და მოქალაქე
ჩუმობს და ძირს ჭსრის მორჩილად თავსა.
და როდესაც კი

. . .

. ოჰ, შე ფარმატო!
სასაცილოა შენი ჭაფრები,
ეგ უმაწვილური შენი ყვედრებაც!

უსწრო სრის ეგ შედარებაც!
მართალს მე გეტყვი, არ მოგიდგები:
ნეტავი პოეტს მოლაპარაკეს,
და ვაი საწყალ უტეე მოქალაქეს!

პოეტი.

მნელი არაა, რომ ჩაჭკლა ისა,
უიმისოთაც ვინც რომ მკვდარია.
ჯეშმარიტს ამბობ: პოეტისთვისა
სიცოცხლე უფრო ასატანია;
ის თავისუფლად ჭაზრის გამოთქმას
შეუძლიან, რომ რითმე ახარეს.
მაგრამ ვეღირსე კი მით დატკბობას?
ახ, უმაწვილობის დროს, სამწუხაროს,
უანგარო და საქმისათვის ძნელს,
მოკლედ ვჭსთქვათ, ძლიერ წინდაუხედველს,
რა ფიცხი იყო ჩემი შეგანი!
გარდების ნაცვლად მაშინ ჯინჯარსა
გაწნიდი იმის გაშლილ ფაფარსა
და ძირს მოვრბოდი ისე პარნასით.
უშიშრათა და შეუზარებლად
მივდიოდი მე სატუსაღოში,
ხვეტთან რომ კაცს ჭკვლენ მის საყურებლად.

ლაზარეთში და სასამართლოში.
არ გეტყვი, ძმაო, რაც იქა ვნახე...
გჭფიცავ, რომ მძაგდა პატიოსნათა,
გჭფიცავ, მიყვარდა მე გულწრფელათა!
მაგრამ რა მოჭყვა მას, ერთი ნახე:
რომ გაიგონეს ეს ჩემი ხმები,
შესძახეს ერთხმად: «საზიზღი ცილი!»
უნდა დამეწდო გულზე ხელები,
ან ამერჩივა ნაცვლად სიკვდილი...
რა უნდა მექნა? სისულელეა,
კაცებს და ბედს რომ ვაბრალო რამე.
მაშინ ბრძოლა რომ დამენახა მე,
გავერეოდი, თუმცა ძნელია,
მაგრამ.... და თავი უბედურება
კი ის იყო, რომ ვიყავ უმაწვილი!
წინ საიმედო მიდგა ცხოვრება
და მიბირავდა ვით ზღვა გაშლილი,
და ალერსითა კატომოყვარება
ბევრ კარგს მიქადდა — და ჩემი გული
უკან ჩამოდგა შეშინებული....
მაგრამ მიზეზი რაც უნდა იყოს,
ჩემთვის საწყენსაც არ ვჭფარავ მართალს
და პატიოსან მოქალაქის წინ
შიშით და კრძალვით ვიხრი დაბლა თავს,

ის ტეტხლი უქმი და უბედური
აქვმდის, ძმაო, გულსა მიდაგავს,
და არ ვიქნები მე უმადური,
თუ მესურის ვინმე შესიზლებით ქკას.
საბრალო თავო! რათ მოიკალი
შენ გულში სალვოთ კაცისა ვალი?
სადა სარაქა შენი ცხოვრების
სნეულო შვილო, სნეულ დროების?...
ნეტავ ხედვიდეს ამ ჩემ ცხოვრებას,
ამ ჩემ სიყვარულს, ჩემ გულის დულ̆ილს...
შუბლი შემიკრავს და გაბრაზებას
მივცემივარ სულ და ველი სიკვდილს...

ახ, მაშინ, ძმაო, როცა პირველად
მამლერეს მუზის გამოსახთოვრად,
მუსამ დაჭხარა თავი შ̆უხარე
და გადმოჭყარა ცრემლი მდულარე,
̆ავიდა და მე მას აქეთ ხშირად
ალარ მინახავს: ხან მოდიოდა
ჩემთან მალვითა, მაგრამ ფერმკრთალი;
მართალია, რომ მისგან მესმოდა
სიმღერები და სიტყვები ცხარი;
ხან მიმიძღოდა ქალაქებისკენ,
ხან ოფლით მორწ̆ყულ ვრცელ მინდვრებისკენ,

აღთქმულ სამშვინველ მუდამ ჰფიქრობდა,
მაგრამ უეცრად ულერას იწყობდა
ბორკილი და მსწრაფულ მუზაც ჰქრებოდა.
მერწმუნე, რომ მას მე არ ველტვოდი,
მაგრამ, ოჰ, ძმაო, რა მეშინოდა!
როდესაც ჩემი მოძმე, ვხედვოდი,
მტანჯველი ნაღველით იღუპებოდა,
ხან ცის ქუხილსა და ხან ზღვის ღელვას
მე შევასხმიდი გულწრფელად ქებას.
მათრახით ვჰსცემდი პატარა ქურდებს
დიდი ქურდების სასიამოვნოდ,
გაკვირვებდი ამ გაბედვით ბალღებს
და მათი ქება მქონდა სალხინოდ.
დროებამ სულის ჯანი დათრგუნა,
გულიც უგრძნობი იქნა — გაცივდა,
და მუზამ პირი იქით იბრუნა,
ფიზდით და ოხრვით ჩემგან გაფრინდა.
ეხლა სულ ტყვილად ვუძახი იმას,
ოჰ, დაემალა ჩემ თვალებს სრულად.
გერ იცნობს სხვები, ვერც მე ვიცნობ მას,
გერც მოვესწრები მის ცნობას სრულად,
ჩემო მუზავ! ეს მაინც მითხარი,
შემთხვევით იყავ ჩემი სტუმარი?
თუ ლექსების ნიჭს რაღაც დიდს ბედი

მინიშნავდა და მისთვის მოხვედი?
გაიმე! ვინ იცის ფარდა ბნელისა
უწყალო ბედმა მიჭფისა ამსს.
მარამ გვირგვინი მსოლოდ ეკლისა,
შეენოდა მაგ შენ მწუხარ, ლამაზ ოსვს

ელისი 1864 წ.

პოეტი.

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო
   გით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმებისთვის
   გამოგზავნა ქვეყნად ცამ.

ზეცა მნიშნავს და ხალხი მზდის,
   მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
   რომ წარვუძღვე წინა ერსა.

დიდის ღმერთის საკურთხევლის
   მისთვის ღვიძის ცეცხლი გულში,
რომ ხალხისა მოძმედ ვიყო
   ჭმუნვაში და სიხარულში;

ხალხის წყლული მაჩნდეს წყლულად
   მეწოდეს მის ტანჯვით სული,

მის ბედით და უბედობით
  დამედგოს მტკიცედ გული;

მაშინ ციდამ ნაპერწკალი
  თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ: მხოლოდ მაშინ
  მოგსწმენდ ხალხსაც ტანჯვის ცრემლსა!

23 ივლისს 1860 წ. ***

ფიქრი მტკვრის პირზედ

წარვედ წულისა პირს, სადაც ნი, ფიქრთ განსართველად.
იქ ვეძიებდი ნაცნობს ალაგს განსასვენებლად;
იქ ლბილს მდელოზედ სასუბეშოდ ვინამე ცრემლით;
იქ ყოველივე არემარეც იყო მოწყენით...
ნელად მოდელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა,
და მის ზვირთებში ჭკრთის ლაქვარდი ცისა კამარა.

იდაყვ დაყრდნობილ ყურს ვუგდებ მე მისსა ჩხრიალსა,
და თვალნი რბიან შორად, შორად, ცის დასავალსა...

ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყ,ი!
მრავალ დროების მოწამე ხარ, მარამ ხარ უტყვი!...
არ ვიცი ამ დროს, ჩემს წინაშე, ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდ ამაოება?...
მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთი სოფელი,
თუ არა ოდენ საწყალი აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვისაც გული ერთხელ აღევსოს
და რაც მიელოს ერთხელ სატვრით, ისი ეკმაროს!
თვითონ მეფენიც, უძლეველნიც, რომელთ უმაღლეს
არვინლა არის და წინაშე არვინ აღუდგეს,
რომელთ ხელო უპურასთ უმაღლესი სოფლის დიდება,
შეფოთვენ და დრტვიან და იტყვიან, როდის იქნება
ის სამეფოცა ჩემი იყოს? და აღიძრვიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს, თუ ხვალ, თვითონ არიან....
თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?
მისი სიცოცხლე — ზრუნვა, შფოთვა და ცდა ქებული,
მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს
თავის მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს!
არ მისცეს წყევად თვის სახელი შთამომავლობას!
მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოეღოს,
მაშინ ვისლა ჰსთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?!...

მაგრამ რადგანაც კაცთა გვქვიან შვიდნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა:

არც კაცი ეარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს კი არარა არგოს.

1837. წ. ნ. ბარათაშვილი.

მოგონება.

ხიმნი მკვნესარნი სამარის ხმითა
ზედ დასტირიან რალაც საგანსა,
და უცნაურის თანაგრძნობითა
ეს ჩემი გულიც ეტყვის მათ ბანსა.

ღმერთო! რა მიყვარს ეს მწარე მოთქმა!...
— გეტრფიალები ამ ჩემსა ჩანგსა! —
მხოლოდ ამისი ეს მატიური ხმა
გულს გადამფერავს მოდებულ ფანგსა.

ეს არის ჩემი ნანა მგრძნობელი,
ეს ისმენს მხოლოდ ჩემს აღსარებას,
მეალერსება ვითა მშობელი
და ტრემლთა ადნობს ჩემს მწუხარებას.

ეი ეხლაცა ჩემი გონება
სიმთ გაცოცხლეს, ამღელვარეს,
მოშცეს წასრულთა დროთ მოგონება
და გარდმიტანეს სამშობლოს მხარეს.

ჰა! წამოშიდგა მე თვალის წინა...
გაჭირვებისგან რომ ცრემლსა ღვრიდა,
მაგრამ მტკიცე და პატიოსანი
უფროსების წინ თავს არა ჰხრიდა.

ბირმოთნეობით, ის დაჩაგრული,
არავის სთხოვდა თვის წარმატებას
და სიმართლისთვის თავგაწირული
აღიარებდა ჭეშმარიტებას.

უშლიდა მოძმეთ სულის მდაბლობას,
ჰგმობდა მათ შორის ის უპირობას.
მაგრამ ეტყოდნენ რაგვარ მადლობას?
ემუქრებოდნენ ტყვის გაძრობას!

გამოახილეთ, ამბობდა, თვალი,
შეიტყვეთ, გლეხიც ჩვენი ძმა არი!
და რას ისმენდა ნაცვლად საწყალი?
«ჩუ, თორემ ცხვირში წაგსქდება ძმარიო!

დაჩაგრულს გლეხებს ეფერებოდა,
დიდკაცებს ჰგმობდა პირუთნეველად
მისთვის მას ყველა ემტერებოდა
და უწოდებდნენ საზიზღარ გველად!

მაგრამ მაინცა თავს არ იხრიდა
უფროსების წინ იმათი მტერი,
თუმცა ჩუმათ ხშირათ ტრემლებს კი ჰღვრიდა
გაუკითხავი უველგნით მშიერი.

შიმშილისაგან გახდა ის ავად;
მისი დაცემა უველამ იხარა,
მოკვდა საბრალო გაუკითხავად
და საუკუნოდ მიწამ დათარა.

ოჰ, უგუნურება! ოჰ, საძაგლობა!
ის მოკვდა, მაგრამ არ არის მკვდარი;
მას მოიგონებს შთამომავლობა,
და მას უგალობს აწ წმინდა ქნარი.

ვინც მოუსწრათვა საწყალს სიკვდილი,
იმას კი გრძნობით არვინ აკურთხებს;
მას შეაჩვენებს მისივე შვილი
და მის საფლავსა გადაჰფურთხებს.

ჯურთხეულმც იყოს ამგვარი შვილი!
და ამას ამბობს ეს ჩემი ქნარი:
ვინც სამშობლოსა უყო კეთილი,
ჩვენი მამაცა მხოლოდ ის არი!

1863 წ. აკ. წერეთელი.

კ ა ლ ა მ ი.

მოდი, ჩემო კალამო!
დრო არს მოგესალამო
და შენით შევიმზადო
წერული გულის მალამო.

კეთილი ხარ ცათამდის,
ბოროტი ქვესკნელამდის,
უღმრთო ხელთა მახვილი,
მართალთ მკვლელი მარადის!...
მაგრამ შენვე, კალამო,
უნდა მოგესალამო

და შენით შევიმზადო
წერული გულის მალამო!

ღარიბთ გარდაქმნი მოყარად,
დიდებულთ კელა გჩანს არად,
ზოგს მოაწყეს ლხენითა,
ზოგს ადენ ტრემლითა ღვარად...
ოხ, მუსთალო კალამო!
რად მსურს მოგესალმო
და შენით შევიმზადო
წერული გულის მალამო?

მწარე სარ ვით ნალველი,
სან ნეკტრის სიტკბოს მსმელი,
ხან ცეცხლთა სთოვ ჰირითა,
გითარც დეირის ველი....
მაშ ვითარღა, კალამო,
მალმიძს მოგესალმო
და შენით შევიმზადო
წერული გულის მალამო!

სიმტირით ჩსირსა დარავ,
მაგრამ ზღვა-ცათა თარავ,
უძრავ ჰლანეტთ მოძრავ ჰყოფ,

სოფელს ვით ტარი ტარავ!...
გით გავბედო, კალამო,
რომ შენდა გესალამო
და შენით შევიმზადო
წერული გულის მალამო!

მაგრამ ჩვენის ცხოვრების
ყოველი დიდება სოფლის
შენ ხარ და შენვე ძალგიძს
წამსვე გარდაქმნა ყოველის!...
მაშ ისევ შენ, კალამო,
ჯერ არს მოგესალამო
და შენითვ შევიმზადო
წერული გულის მალამო!...

1859 წ. აბ. მაჩაბელი.

ქართველის დედას.

«აწმყო, შობილი წასრულისაგან,
არის მშობელი მომავალისა».
ლეიბნიცი.

ჰე, ქართველის დედაჰ! ძეძუ ქართველისა
უწინ მამულსა უსრდიდა შვილსა;
დედის ნანასთან ქვითინი მთისა
მას უმზადებდა მომავალ გმირსა.
გაჰქრა ის დროცა!... დიდმა ნაღველმა,
ჯორთეებისქვეშე დაჩაგრულ ბედმა
სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა,
თვით შენი შვილიც ჩრდილად შესცვალა.
მითხარ, სადღაა მამაპაპური
ფნეობა, ხმალი, მკლავი ქველური?
ხახელისათვის ამაკი ორროლა,

მამულის მტერთან სასტიკი ბრძოლა?
მას ნულარ ვჰსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალო დროს ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წასრულ დროებზედ დარდი,
ჩვენ უნდა ვსდევდეთ ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მეობაღი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...
აქ არის, დედავ, შენი მაღალი
მნიშნველობა და სიღმრთო ვალი!...
აღსარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
სასზრდოთ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთაგონებდე კაცის სიყვარულს,
ქმობას,
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მეობადისთვის ის ბედთან ბრძოდეს.
მენდე, მიიღებს ნერგს შენგან ჩარგულს,
და მოგვცემს ნაყოფს, ვით კაცი, კაცურს.
დედავ! ისმინე ქართველის ვედრება!
ისე აღსარდე შენ შვილის სული,
რომ წინა ჰქონდეს ჭეშმარიტება
და უკან კვალი განათლებული.

15 დეკემბერს 1858 წ. ***

ა რ ა ბ ვ ი.

(პოემიდგან «აჩრდილი»)

ჩვენო არაგვო! რა რიგ მიყვარხარ!...
ჩვენ ძველ ცხოვრების მოწამე შენ ხარ!
შენს კიდეებზედ ჩემი მამული
იყო ერთ დროსა განშვენებული;
ჩემის ქვეყნისა დიდება ძველი
შენი თვალისწინ აყვავებულა,
მიყვარხარ მისთვის, რომე ქართველი
აქ შენს კიდეზედ დაბადებულა;
შენს ზვირთებსშორის ჩემის ქვეყნისა
გრძელი მოთხრობა დამარხულია
და წმინდა სისხლი ქართველებისა
შენს კიდეებზედ გადასხმულია;
იქ სადაც შენსა წმინდასა წყალსა
შეურევ ხმოვან, შფოთიან მტკვარსა,
იქ ერთხელ ქართველის სიცოცხლე დულდ
იქ მამულისთვის ქართველის ხმა ქუხდა.
შენს ზვირთებს გაჰვეენ საუკუნენი,
და საუკუნეთ იგი ქართველნი!...

გულ-ხელ-დაკრეფილ შენს წმინდასა წყალს
რამთენჯერ ტანჯვით ვადევნებდი თვალს!
რას ვეძებდი მე? ჩემ ქვეყნის წასრულს,
შენწინ დაღუპულს ჩემს ძველსა მამულს,
და მარტო სისხლი ჩემს თვალს დაღვრულს
ამლევდა ხოლმე გულსაკვდავ პასუხს!

1859 წ. ილ. ჭავჭავაძე.

ამაო ძებნა.

მაისის ღამე ბნელთვალიანი
დილის განთიადს ესალმება,
და ვარსკვლავთ კრება უხვსხივიანი,
გულდაწყვეტილი ცაზედ ჰქრება.

იწყო კაშკაში ცისკრის ვარსკვლავმან,
მთვარემ დაუთმო მას თვისი ბინა,
წუნარად დაჰქროლა დილის ნიავმან
და სუნნელება ქვეყნად მოჰფინა.

ძამალთ ხმამაღლა იწყეს ყივილი,
მუშაკთ აუწყეს მით გათენება,
აღიძრნენ ჩიტნი და ერთხმად ტკბილი
გრძნობით ბუნებას შეასხეს ქება.

მშვენიერი ხარ მეტად ბუნება!
შენშიდ ცხადად ჭსჩანს ღვთის ძლიერება!...
ნეტავ თუ იყოს ღვთისა ქმნილება,
გჭვრეტდეს, არ იგრძნოს მან ნეტარება?

მაგრამ რას ვხედავ! აჭა ჭაბუკი,
რომელიც შენ ყურს სრულად არ გიგდებს,
ჭკვნესის და ოხრავს, სტირს უბადრუკი
და წასრულს დროსა ოცნებით ეძებს!...

მთა-კლდეთ შეჭბღავის, ჩასძახის ქვესკნელს,
წყალსა მიჭყვირის მსწრაფულ მიმავალსა,
მაგრამ ვერ ჭპოებს ნუგეშისმცემელს
და უმრავლდება წყლული საწყალსა!

მთანი და კლდენი სისხლს უჩვენებენ,
ქვესკნელი საფლავს და ძვლებთ გამხმართა,
რომელნიც მეუდროდ განისვენებენ,
თავნამსხვერპლავთა მის წინაპართა.

სასწარელ უხმო ამა ესუხით
საბრალოს გულში სისხლი სდუღდება,
ისე მდინარეს მტირალისა ხმით
წასრულს დროს ამბავს ის ევედრება.

მაგრამ მდინარე აღქაფებული
ქვე მოაქანებს ასწლოვანთ ხეთა,
მალმალ ფრთებით სტემს განრისხებული
და სურს გაგლეჯა კლდოვანთ კიდეთა,

რომ მსწრაფულ მორეცხოს მან სისხლი ძველი,
მის კიდეებზედ გადათხეული,
მაგრამ კიდეთა შეუკრეს ხელი
და მისთვის არის აღლვებული

1860 წ. აკ. წერეთელი.

ჩ ო ნ გ ურ ს.

შენნი მოთქმანი, კვნესანი ხმანი,
ხანცა ოხრვანი, ხანც ამოსკვნანი
წასრულთა დროთა მოგონებით სულს ამოქრებენ.

ჭოი ჩონგურო, ნეტაკი ოდეს
ხმა მხიარული შენგან მსმენოდეს,
რომ უკუმუროდეს მე სევდიანსა გულისა სენი!

მაგრამ სად ვნახო შენი ღიმილი,
სიხარულითა გამოჩენილი?
მე შენგან მესმის მოკლულის გულის ოდენ ჩივილი...

1837 წ. ნ. ბარათაშვილი.

ხმა საშარიდამ.

I.

ხამართალს თულითა ვსჯრიდი,
გროშისთვის კაცსა გავუიდდი,
თვით ქმას ორმოს გავუთხრიდი
და ჩემ ჯიბეს ნელნელ ვსდიდი;
ხაზდოს გლეხსა წავართმევდი,
მშიერს, მწყურვალს დაკაგდებდი;
თუ შიმშილით მოკვდებოდა,
მე ის არ შემბრალდებოდა.
რაც კი რამ ჰქონდა საწყალსა,
ჩემ ჯიბეს აძლევდა ხარჯსა;
ჩემი ჯიბე ვტენე, ვტენე,
ისე მოვკვდი, ვერ გავტენე.

II.

ობლის ვედრება, ტირილი
ჩემთვის იყო გაუგებრად;

განა ვიყავ მე გულჩვილი?
სხვის ტირილი მიჩნდა მღერად.
წვრილ შვილნი გლეხთა ქვრივებსა
შიმშილით ეხოცებოდნენ,
მათაც კი ვსთხოვდი ფულებსა,
რომ საქმისთვის მოვიდოდნენ.
იხჩობდა კაცს ვხედავდი,
მე შემეძლო მის მორჩენა:
მის მორჩენას გავბედავდი,
თუ მესმოდა ვერცხლის ბზენა.

III.

თუ არა და, ხელსა ვკრავდი
და მას წყალში მე ჩავკლავდი;
ბევრსა საქმეს ამის მზგავსსა
მე ვიქმოდი მეტად კარგსა.
ხიცოცხლეს კარგად ვიცნობდი
და იმ ცნობით ვსარგებლობდი:
დროზედ სიბრძავე ვიცოდი
დროზედ თვალის ახილება,
დროზედ სიფიცხით ვიწოდი,
დროზედ მქონდა დასანტება.

IV.

ბლეხებთან ვიყავ ჭკვიანი,
ტუტუცი ნაჩალნიკთანა;
უხმოსთან ვიყავ ხმიანი
და უსიტყვო ხმიანთანა.
ვინც მე შიშით მიყურებდა,
მას ბრაგიბრუგს დავუწყობდი;
და ვინც კი დამიყვირებდა,
მას მე ფეხქვეშ ვუძვრებოდი;
ღმერთმან მომცა მარდი ხელი,
დაუღლელი თავის დღეში,
მუნით ცურდებოდა ჭრელი
ჩემ გაუმაძღარ ჯიბეში.

V.

ხულ ჯიბისთვისა ვსცდილობდი.
მისთვის კაცსა ტყავს ვაძრობდი;
ეს წყეული ვტენე, ვტენე,
აჭა მოვკვდი, ვერ გავტენე.
რაღა გითხრათ? ვიყავ კარგი,
ქვეყნისათვის დიდი მარგი.

არც ვიუაკ დიდი, არც მცირე,
ჩემს დღეში ცრუათა ვსწერე;
არც ვიუაკ ბლეხი, არც ბეგი:
მაშ რა ვიუაკ?ძდივანბეგი!
და აწ მეხი ბლეხებისა,
ერთგული უმა ფუულებისა
მტკვრათა ვდევარ სამარესა,
მოდი, ენდე ცრუ სოფელსა!...
შეიბრალეთ ჩემი გვამი!..,
თუ ოდესმე ვინმემ მნახეთ,
საიქიოს თუა ქრთამი,
გამახარეთ, ჩამოიძახეთ!

13 დეკემბერს 1857 წ. ***

ზ ღ ა ბ ა რ ი.

დიდებულს მებატონეს კარს მიადგა მესტვირე,
ძშვენიერი დამკვრელი, მსმენელის გამაკვირვე;
ეშხით დაუკრა სტვირი, ზედაც გრძნობით დამღერა.
შეაერთა ორი ხმა, გულს სევდა გადაჰფერა.

უნებურ გრძნობით ბატონს მოეწონა ის სტვირი,
ჭმაუოფილების ნიშნად გაუწლაკუნა ჰირი.

ზოგიერთი დიდკაცი — ვის არ მოგეხსენება —
ჰირს დაუწყებს წლაკუნსა, რომ რამ მოეწონება,
რადგან იმას იმ დროსა საჭმელი აგონდება;
თორემ ესტეტიკისა მას არრა ეეურება;
და წლიდგან წლამდის მხოლოდ მის კუჭს ემსახურება:
ლორის ქონით გასძღება, მერე ღვინით ჩაჭეერავს
და იქვე გაგორდება, თუ მუცელზედ გაჭბერავს;
ჯოტრიალობს ლოგინზედ, ბედს ჭსწყევლის, იგინება
და მუცელზედ ხელს ისვამს, სანამ დაეძინება;
გახშმობამდის იხვრინებს, მრავალგვარად ცხვირს ასტვენს,
გახშმათ კი ნაკლებსა სჭამს: ხუთ გირვანქას, რას აწყენს?..
დილას გავა, სეირნობს, ტორტმანით ადგამს ბიჯსა,
და მოჭედილი ხრმალი უკან მიაქვს მის ბიჭსა;
ახალ წლიდგან წლამდისა დროს ატარებს ამგვარად
და, თუ ძილი გაუტეხა, ოჯახზედ ფიქრობს მარად.

აწ ისიც მოიხსენეთ, რას შვრებიან ცოლები:
— ქალებო, არ გამიწყრეთ, თქვენ კი გენაცვალები —
წიგნი სძულსთ, ოჯახობის მათ არრა გაეგებათ,
გულზედ ხელის დაკრება მიაჩნიათ საქებრათ,
ქარვის კრიალოსანსა მარცვალ-მარცვალ ჩათვლიან,

რომ ჭკითხოთ: «რამდენია?» მერწმუნეთ, ვერ გეტყვიან;
სადილ-ვახშმის მზადებას ვატივს სულ არა ჭსცემენ:
მოარომევენ — შესჭამენ, თუ არა — ბიჭებს სცემენ;
როგორც წიგნს მიიღებენ, ცხენს შეხლტებიან მალით,
მაიჭენებენ: «აჩუ!», ბიჭი მისდევსთ ჩანჩალით.
სტუმრობა და ბალები არ გამოეპარებათ,
იქ ჭორებს შეიტეობენ და ეს აქვსთ ნეტარებათ!...
სულ რომ ბევრიც იჯავრონ, ვინ გუგონებს ქმარსა,
ულვაშებს შეურცხვენენ, ცხვირში ადენენ ძმარსა!
ეტყვიან: «გაქრა ის დრო! ძველ დროს ნულარ მოელი!
ჩვენ ქალბატონები ვართ! რათ გავისვარონ ხელი?
სირცხვილია ოჯახში ჩვენგან განკარგულება,
მზარეული, გამდელი თუ კი შინ გვეგულვება;
ძვირფასთან გამოგვაწყვეთ, გინდ აიღეთ ვალები!
ანა რისთვის შეგირთეთ? თქვენ დაგიდგათ თვალები!..»
ამ გვარათ მათი ქმრები ვალებში ვარდებიან,
ბოლოს, ყასაბ, კარაპეტ კი მითი მდიდრდებიან!...
ყველა ასე არ არის! მე ზოგზედ მოგახსენებთ.
და ქალებო, გაწურომას სულ ყველა ნუ ინებეთ!

ამ გვართაგანი იყო თურმე ის მებატონე,
რომლის კარსაც მიადგა მესტვირე თავმოწონე.
იმისთანა სტვირის ხმა ბატონს არ გაეგონა
და უსებურის გრძნობით მას სტვირი მოეწონა:

უთხრა: «თუმც კარგი ხმა გაქვს, ცოტა-მაღლა ვერ ჭეეირი!»
და მაღალ ბანის მთქმელად გამოუგზავნა ვირი. (სტვირსა,
მესტვირემ სთქვა: «მერწმუნეთ, დავამტვრევ ამ ჩემს
აღარც ხმას ამოვიღებ, თუ მართლა გსავნი ვირსა!..
შევცდი, რომ აქ მოვედი! მე ვისთან აქ რა მინდა?!..»
ამაყად დაიძახა. არავის შეუშინდა.
«რაო?» მებატონემა ერთი დაიღრიალა.
—«მაგას კერ არ უნახავს დიდიკაცების ძალა?
რას ანბობს? მე არ მინდაო, ბრძანებით სამსახური?
ჭე, ბიჭებო! გაგდეთ, მიაყოლეთ ჰანლური!..
თავსედ გადაამტვრიეთ მაგ მაწანწალას სტვირი,
და აქვე ამომგვარეთ ჩემი საქები ვირი!»
შემებრალა ბატონი! შემეცოდა მესტვირე!
და აწ შენ სცან, მკითხველო, მე რომელი ვიტირე.

1862 წ. ია. წერეთელი.

ბედი ქართლისა,

პოემა

ნ. ბარათაშვილისა.

კახთა მიმართ.

ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო, მოლხინე სულით,
თქვენში აღზრდილა ბატარა კახი მეფედ და გმირად;
თქვენ გიყვართ მისთა დროთა ხსენება მხურვალე გულით,
რომ თქვენებრ მლხენი ევლინებოდა მტერსაც გამგმირად.

და რაც საყვარლის ჩვენის ირაკლის ყამმან მეფობის
მოუვლინა აწ გამოხატვასა ჩემს ყმაწვილობის,—
მეც, ძმანო კახნო, თქვენ შემოგიძღვნით მას არმაღანად,
ერთსულობისა, ვაჟკაცობისა, ლხინის საგანად.

რომ თქვენებურად მამულის ღვინით გულს იხარებდეთ,
ხელთ ყმის მეურობნი წასრულსა დროებს მოიხსენებდეთ
და მორიგისად სმიდეთ წინაპარი შესანდობარსა,
მოიგონებდეთ ყარიბს მგოსანსაც, თქვენდა მბობარსა!

ნ. ბარათაშვილი.

ბედი ქართლისა.

კარი პირველი

მწყემსო კეთილო, შენს წმინდას სამწყსოს
შემოვავედრებ ჩემსას სამეფოს!
გულთა მხილავო, შენ უწყი რაც დღეს
საქართველოსა ჭირნი მოადგეს!
მრავალ არიან, უფალო, მტერნი
და წარიტაცონ შენნი ცხოვარნი!
გვესწრაფე, ჩვენო ხელთაღმპყრობელო,
რომ აღადგინო დღეს საქართველო!»

ასე ილოცდა მეფე ირაკლი
ბასაკსა თვისსა გულით მხურვალი.
ცათა წინაშე დიდია მსხვერპლი
მამულისათვის შეფისა ტრემლი!

ბატონს თვის ჯარი ჯრწანისის მინდვრად
დაებასაკა სპარსთან სომრად,
მუნ განრისხებულს ალა-მაჰმად-სანს
პატარა კარი უპირებს შებმას.
ამ დროს გამოჩნდა სამხრეთით მტერი...
ცა მოწმენდილი, ცა მშვენიერი
ზედ დანათლიდა ბრძოლისა ველსა.
და ირაკლიცა ჯარსა ქართველსა
განაშხნევებდა მამობრივის ხმით:

«ჰხედავთ, ვითარის კადნიერებით
შეკრბების ჩვენზედ უსჯულოება!
საქართველოსა დღეს გარდუწყდება
თავისი ბედი და უბედობა!
დღეს ეჭირება მამულს მხნეობა:
დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი,
ვითა თქვენგანი ერთი მხედარი;
დღეს გამოჩნდება ვინ არს ერთგული,
ვის უფრო გიყვარსთ, ძმანო, მამული!»

«შენი გამჩენის ჭირიმე, შენი,
რომ გაგვაგონე კვლავ ხმა სალხენი!
შებლავდა მეფეს ჯარმა ერთის ხმით:
«ჩვენ თუნდა ერთ დღეს დავიხოტებით,

ოღონდ შენ იუკვ, მეფეევ, დღეგრძელი!
მტერი? რა მტერი! ოდეს ქართველი
ბატონს ირაკლის ნუგეშად ჰყუკვდეს!
ვინღა დაზოგავს მისთვის სიცოცხლეს!»

ნეტარ მეფისა გულს მამობრიულს,
ოდეს მოუმენი, ვით მამას შვილნი,
განუცხადებენ თავის სიყვარულს!. .

დაჰკრეს ნაღარა, გულნი შეზარა
და მტერთ სარომრად ჯარნი შეჰყარა.
ხმა ნაღარისა, ხმა ესე ბრძოლის
ვით არ აღგანთებსთ, ჰოი გმირნო ქართლის!
განგაღვიძებს, მხნევ, მხდალო, განგამხნევს
და შენც, მიჯნურო, გულს შეგიშფოთებს!
შეიქმნა მწარე, ძლიერი ომი:
ვითა ნადირსა მშიერი ლომი,
ეკვეთნეს ხვარსთა ივერთ მხედარნი,
და მტკვარს ერთვიან სისხლისა ღვარნი!
ორნივ იბრძვიან გაამწარებულნი,
ორნივ ომებში გაქეზებულნი.
თამაზ ენისელთ მოურავისძე
და იოანე კახთ ანაშიძე
განუმტკიცებენ მკლავთა ქართველთა.

მეფის ირაკლის ღვაწლი ყოველთა
შთაუდგამს სულსა ვაჟკაცობისას.
მაინც ვერ ხედვენ ბოლოს ბრძოლისას.
რა ნახეს ქართველთ, გაჭირდა საქმე,
მეის ჩაიკეტეს ქუდები თურმე.
ხრმალს ხელი იკრეს მამაპაპურად
და დაერიკნენ თავისებურად...

ბინდმან გაჭყარნა მებრძოლნი მტერნი,
გამარჯვებულნი დარჩნენ იკერნი,
მაგრამ რა მეფე ჯარსა უყურებს,
მას გამარჯვება არლა ახარებს:
ძვირად დაუჯდა იგი ირაკლის!
მრავალთ ეშაწვილკაცი, ნუგეშთა ქართლის,
დასდვეს აქ თავი მამულისათვის!
და აწ საიელავიც არსად არს მათთვის!
ჭაერში განქრა მათი სახელი
და ყამთმოწამე სადამე ძეგლი
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა —
დუმილნი ჭოვრენ ერთგულთა ძეთა!...
მაგრამ, ჭოი გმირნო. ნუ შეშიოთდებით!
თქვენ სახსოვარი გაქვსთ თვით განგებით:
რაც ერთხელ ცხოველად სულს დაჩნდების,
ხაშვილიშვილოდ გარდაიცემის!

ქართლი თქვენოა ღვაწლო ვერ დაიდუმებს,
აღა-მაჰმად-ხანს ვიდრე ახსენებს!...

მეფემ უბრძანა თავის მოხელეთ:
«გვიჯობს, რომ ახლავ ქალაქს მივიქცეთ
და ციხე ჩვენი მსწრაფულ განვამაგრო;
თორემ სიმხნითა ვერრა გავაწყოთ,
აღა-მაჰმად-ხან რა აქა გვნახავს, —
ხომ იცით, ჯარი დიდძალი ახლავს;
და, იქნება, რომ ციხეში დავხვდეთ,
ჩვენის ძალისა ფიქრი მიეცეთ.
ხამს ვერაგობაც სარდარსა ჰქონდეს,
დროზედ, იგიცა არრას წარუხდენს.»

ყველა ეთანხმა ამაში მეფეს:
ქალაქს მიიქცნენ იმავე ღამეს,
და მსწრაფულ ზღუდენი სარიყალისა
ექმნენ საჯურედ ჯართა ქართლისა.
და შეუმტირდა ხვარსთ ტაბილნი დღენი.

გათენდა დილა მზისა აღმოსვლად,
მაგრამ მნათობმან შუქისა ნაცვლად
ბნელი მოჰფინა ტფილისის არეს:
აღა-მაჰმად-ხან მოადგა ციხეს,

ხ�ი დღე და ღამ ადგა მას ჯარით,
მაგრამ ვერარა ავნო ვერსაით.
დაღონდა ხუარსთა მეფე ბორგვნილი
და, თურმე, ეოვლით იმედ მიხდილი,
ქართლისკან წასვლას დაუპირებდა,
მაგრამ იუდა ყამს ეძიებდა!
აჭა მან იგი აწ მოიჩელთა
და მუხთალისა ანგართა ხელითა
აჭუარეს მამულს სიმტკიცის ბეჭენი:
მან მტერთ უმსხვერპლა თავის მოძმენი!!..
ჭსცნა რა ირაკლიმ ესე მუხთლობა,
მოუმეთა თვისთა ესდენ დამცრობა,
მეისეე აღენთო ხელმწიფეს გული,
მტერ'ხედ ამაეთ განმზადებული:
მაგრამ ტუდ იეო ეოველი ღონე:
ალა-მაჭმად-ხან კვლავ თავმომწონე
შემოეპარა ციხისა კარსა
და მოეკლინა ქართლისა ჯართა;
გაშეოთებული ეძიებდა მას,
ვინც თეირანის ტახტს ხელმწიფებას
ქართველთაშორის წაართვა ძალა:
მაგრამ ირაკლიმ უკვე გაქუსდა
მთიულეთისკენ თავისი ტხენი.

კარი მეორე.

მორბის არაგვი არაგვიანი,
თან მოსძახიან მთანი ტყიანნი,
და შეუპოვრად მოუთმაშებს
გარემოს თვისსა ატეხილს ჭალებს.
ჭოი ნაპირნო, არაგვის პირნო,
მობიბინენო, შვებით მომზირნო,
ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,
ოდეს შვენება თქვენი იხილოს,
რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს;
რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს,
როგორ იქნება არ განისვენოს:
ხამჯერ ხომ მაინც გადაჰკრამს ღვინოს,
ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს,
და ნამძინარევს შუბლს განიგრილებს;
ერთს ქართველურად კიდეც შესძახებს,
არაგვო, მაგ შენს გამწყვანებულს მთებს,
და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს
იგი ამისთვის ალარ დაღონდეს!

მზე დამავალი მოჰფენს სიამეს
მთიულეთისა ხეობის არეს,
და ამ მშვენიერს არაგვის პირებს
ძველი ჩარდაული ზედ გადმოჰყურებს.
მუნ ბრძანდებოდა მეფე ირაკლი,
მოწყენის თვალით გადმოხირალი;
დაფიქრებული, თვისთა ზრახვათა
გაცაცართობდა ქარვის მარცვალთა.
თან ახლდა მეფეს თავის მსაჯული,
ნიჭთა კეთილთა უხვად მორჭმული.
ვის არა გახსოვსთ ხოლომან ქველი,
მეფის შინაემა, ემა სიყვარელი?
სადღა არიან ეწ ესე კაცნი,
რომ არ გვალხენენ თათბირნი მათნი?
დიდხანს უჭვრეტდა მეფე მდუმარედ
არაგვის წყალთა, მდენთა მჩქეფარედ,
ბოლოს მაშვრალმან უბრძანა მსაჯულს:

— შენ იცნობ კარგა, ხოლომან, ჩემს გულს,
შენ უწყი ქართლის ეწ ვითარება,
მისი ეწ ძალა, კეთილცხოვრება.
ბევრჯერ რჩევანი შენნი ვითა წყლულს
მსალბუნებიან მე შეწუხებულს!
ეწც ჩემს გულის ტვირთს, ჩემს სულის წადილს

შენ განგიმუკვნებ, ვით საკვარელს შვილს;
არ მითვისდება ქართველთა გული,
რომ ვიკავ მათი მეფე ეული.
ჩემი მეფობა ზედ დავსრულე,
რომ ძლიერს იგინი გაკაერეოგულე,
და ახლა, ოდეს ჩემს ხელმწიფობას
განვუმზადებდი უამკეთილობას,
აი მის ნაცვლად რაი მოვამპერეს
მე ჩემთა ძეთა! და ვინ იხარებს?
ამიერიოგან გაქეზებული
მაჭმად - სანისა მოსისხლე გული
არ დაგვაწყენარებს სიამაყითა,
იგი სარგებლობს კარგის ყამითა.
ეს ხმა ლეკოთა აგვიკაუანებს,
ოსმალი მხოლოდ დროსა უეურებს,
და მტერნი ძლიერ მაშინ მოგვატყენენ,
როს ძენი ჩემნი ურთიერთს ბძარვენ.
მეც თუმც კიდეც ვგრძნობ სულის სიტკიცეს,
გარნა ლონენი წელთ წარმიტაცეს;
შენი ირაკლი ის აღარა ვარ,
პატარა ჯახად რომ გიხახავარ!
აბა რომელს შვილს ვხედავ ღირსეულს,
რომ ექნას კვერთხად მამულს დარღვევულს?
ჭოი ღმერთო! ვმადლობ შენს სამართალსა,

ჭკვეს, ღირსად შეეხვედი ამა სასჯელსა!
ამა რას მირჩევ, ჩემო მსაჯულო?
კარგა იფიქრე, შვილო ერთგულო.
აწ განთქმულია რუსეთ სახელი,
ხელმწიფე უვისთ ბრძანი და ქველი:
დიდი ხანია გაქვს ჩვენ ერთობა,
მტკიცე კაეშირი — სარწმუნოება,
მას, მსურს, რომ მივსცე მემკვიდრეობა
და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა!..

ამის კამეჩონი ჩვენი მსაჯული,
შეშვრეტდა მეფეს განცვიფრებული:
მას არ სჯერდა, რომ ირაკლის გულს
ნახევდა ესრედ ის შეშფოთებულს.

— რასა მიბრძანებ! ჰკადრა მან მეფეს:
— ბატონო, ღმერთი გადღეგრძელებდეს,
ნუ გაგვაგონებ ამგ ხმას ქართველთა,
ესდენ შენზედა მსასოებელთა!
ჯერ სამაგისო რა გვემართება
რომ

— ჩემო სოლომან! მეფემ უბრძანა:
— მე ეგ ეოველი არ ვიცი განა?

მაგრამ კეთილთა დღეთათვის ქართლის
რა მოვაგვარო უმჯობეს ამის?
მე არა ვჰფიქრობ, ვითარცა მეფე,
თვის დიდებისთვის სისხლთა აღმჩქეფე;
არამედ ვითა მამა კეთილი,
რომელსა სურს, რომ თავისი შვილი
თვის სიცოცხლეში დასახლკაროს.
ძნელ არს ცხოვრება სამეფოსი, როს
უჭვრეტდეს ოდენ მტერსა დღედღისით!
აი, ხომ ნახე აწ მაგალითი,
რა ქნა ამ ერთმან დამარცხებამან!
კარგი, რომ კიდევ აღა-მაჰმად-ხან
ქალაქს დასჯერდა განძვინებული,
ხხვით არ აღიესო მან საწყაული!
ახლა კი დროა, ხოლომან, რომა
მშვიდობა ნახოს საქართველომა,
მან საფარსქვეშე მხოლოდ რუსეთის
ამოიყაროს ჯავრი ხვარსეთის.
და მხოლოდ მაშინ, უეჭვოდ გვრწამდეს,
საფლავზედ ჩვენთა მამაპაპათა
განცაისვენონ აჩრდილთა მათთა!

ველარ გაუძლო მსაჯულსა გულმან
და ჰკადრა მეფეს შეშფოთებულმან:

— განზრახვა შენი, მეფეო, მაგვირგვინ:
ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს
არად მიაჩნისთ უბედურება,
თუ აქვსთ თვისთ ჯერთქვეშ...

— სულ მართალია, ჩემო სოლომონ,
მაგრამ აბა სთქვი, ქართველთა რა ჭეონ
ამ უბედობის და დარღვევის დროს?
აბა ირაკლიმ რა მოაგვაროს
მშვიდობისათვის საყვარელთ ყმათა?...
აი მივიღებ მე შენთ რჩევათა
და დავიდუმებ ჩემთ გულისთქმათა;
ნუ დაივიწყებ მაგრამ ჩემს სიტყვას,
რომ დღეს იქმნება, თუ ხვალ იქმნება,
ქართლსა დაიცვავს რუსთ ხელმწიფება!

ასე ირაკლი და მის მსაჯული,
მამულისათვის გულმტკივნეული,
ქართლისა ბედსა განსამართლებდნენ!
ამ დროს აღმოჩნდა ბადრი მოოვარე
და სიამითა მოჭეინა არე.
ცამ, მოჯედილმან ვარსკვლავებითა,
მთიანა ჭაერმან, სავსემ შვებითა,
და მთვარის შუქთა, არაგვის წყალთა,

თავისუფლებით ჩამოიჩქრიალთა,
გულს აუსალეს დარდები ბატონს,
ოხრვა დამართეს ვით ბატონს ლიტონს:
მას მოაგონდა დრო უმაწვილობის,
განტარებული ოვისთა კახთშორის,
როს ჯერ არ ედვა ტვირთი მეფობის,
როს ჰქონდა ყამი უზრუნველობის
და საყვარელი კახეთის გმირი
იყო ნიადაგ მტერთა გამგმირი!
დიდხანს დაჰყოფდა ბატონი ჩუმად,
დათიქრებული მწუხარედ და ღრმად;
შემდეგ უბრძანა სოლომან მსაჯულს:

— ახლა კი დროა, ჩვენს გაოხრებულს
ქალაქს ჩავხედოთ; მაგრამ ჯერ ერთი
ძინდა, რომ ვნახო კიდევ კახეთი:
შევიტეო კახთა საჯირეოება,
გჰსცნა ჰაზრთა მათთა აწ ვითარება:
შენ კი აქედგან ქალაქში ჩადი
და დამახვედრე ჩემი სამყადი!

დილასა ადრე მოვალს მსაჯული
ქსნის ხეობაში, დათიქრებული.
გიდრემდის იყო შიშიანობა,

მას აქ ესახლა თავის სახლობა,
მეფის ჭაზრთაგან სულით ღელვილი,
ზრახვიდა გულში მამულის-შვილი:

«მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას!

იქნება მეფე ციხის გატეხას
აბრალებს მოუშეთ მუხანათობას?
იქნება ამან აჭკარა გული
ბატონს ქართლზედა შეუორგული?
მაგრამ ირაკლიმ უკეთეს უწყის,
თუ ვით საყვარელ არს ქართველთშორის.
მაშ რამ შეშფოთნა მის გული მყარი,
ქართველებისთვის ერთთანა მკვდარი?
მაგრამ, ვინ იცის, იგი, იქნება,
უკეთ ჭფიქრობდეს რაც გვეჯირება:
ბევრჯერ ღვთიურსა ზრუნვასა მეფის
გონება უმათა ვერა მიხვდების!»

ამ ფიქრში იყო მსაჯული, ოდეს
მოადგა თავის სახლისა არეს.
წინ მოეგება მას თავის ცოლი,
სათნო სოფიო, სულისა ტოლი.

ახლაც ბევრს ახსოვს მისი ზრდილობა,
მშვენიერება, გულკეთილობა.
რა დაინახა მან თავის ქმარი,
სახე შეცვლილი, მონაწყინარი,
ამბავი ჰკითხა მეის ირაკლისა,—
ასე საუვარელ იყო ყოვლისა.

— ვეკრობ, სოფიო, რომე ირაკლი
ქართველებზედ იყოს გულნაკლი,
ზედან ეტყობა, რომ მისი სული
ძლიერად არის აღლვებული.
მწარედ უპირებს ბატონი დასჯას
თავის შვილების ამა ურჩებას:
ვეკრობ, რომ იგი სამეფოს ქართლის
აძლევს საფარსქვეშ რუსთა ხელმწიფის.
მაშინ უეურე ჩვენს დედაკაცებს,
რომ საცხოვრებლად დიდკაცთა ცოლებს
ბეტრეს ქალაქში გადასასხლვენ!
მაშინ, სოფიო, რაღა გინდათ თქვენ:
სელმწიფეს ჰპოებთ მამად კეთილად
და დედოფალსა დედისა ნაცვლად;
არ მოგაკლდებათ
განცხრომილება, ფუფუნეულება
მათთა სიმდიდრის პალატთაშორის;

ვერ გაიგონებთ მუნ ხმასა მტერის;
მრავალთ სიამეთ იხილავთ კვალად
ბანოვანთათვის გულგასართობლად.
მაშინ ვიდასა მოესურნება,
ნახოს ქართლისა კვლავ ამბოხება.

— უწინამც დღე კი დამელევა მე!

მსაჯულს ეგონა, რომე იგი გულს
დედაკაცთაცა ჰპოებს ცვალებულს;
და აწ, რა ნახა ტოლი ამ ჰაზრით,
გარდაეხვია მას მხურვალებით...

ჰოი დედანო, მარად ნეტარნო!
ჯურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
ხულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!
ვინდა ჰყავს გულის-შემატკივარი
მამულს ასული ახლა თქვენგვარი?

რა მოახლოვდა ქალაქსა მეფე,
დიდხანს უჯვრეტდა ტრემლთა აღმჩქეფე:

ᲑᲚᲐᲢᲜᲘ ᲛᲘᲡᲜᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲜᲒᲠᲔᲣᲚᲐᲜ,
ᲡᲐᲮᲚᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲓᲐᲜᲐᲢᲠᲔᲑᲣᲚᲐᲜ;
ᲛᲘᲓᲐᲛᲝ ᲭᲔᲓᲐᲕᲡ ᲣᲕᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡ,
ᲐᲝᲮᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲢᲐᲛᲚᲝᲑᲐᲡ!
ᲓᲣᲛᲘᲚᲡᲐ ᲭᲔᲓᲐᲕᲡ ᲛᲘᲡ ᲐᲠᲔᲛᲐᲠᲔ.
ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲑᲣᲢᲑᲣᲢᲔᲑᲡ ᲫᲢᲙᲕᲐᲠᲘ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔ,
ᲨᲔᲛᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲠᲐᲕᲚᲗ ᲡᲘᲡᲮᲚᲗᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ, —
ᲝᲒᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲠᲩᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲮᲕᲐᲠᲡᲔᲚᲗᲐ!

ᲐᲦᲐᲕᲡᲝ ᲔᲠᲛᲐᲜ ᲙᲕᲐᲚᲐᲓ ᲪᲢᲝᲕᲘᲚᲘᲡᲘ,
ᲠᲐ ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ ᲭᲡᲪᲜᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲡᲘ;
ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲘᲡᲯᲰ ᲩᲥᲐᲠᲐ ᲐᲨᲔᲜᲓᲐ,
ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲓᲠᲘᲜᲓᲔᲚᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲙᲚᲓᲐ!
ᲬᲐᲠᲕᲘᲓᲔᲜ ᲬᲔᲚᲜᲘ ᲛᲝᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐ,
ᲓᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲛ ᲭᲠᲛᲐᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡᲐ
ᲐᲘᲦᲝ ᲚᲔᲙᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲛᲣᲡᲠᲐᲕᲐᲓ.
ᲐᲠᲪ ᲡᲮᲐᲠᲡᲜᲘ ᲛᲝᲠᲩᲜᲔᲡ ᲓᲐᲣᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲚᲐᲓ.
ᲡᲘᲑᲔᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡᲐ ᲛᲝᲘᲪᲐ ᲫᲐᲚᲘ
ᲓᲐ ᲨᲔᲐᲫᲠᲬᲣᲜᲐ ᲙᲕᲐᲚᲐᲓ ᲝᲡᲛᲐᲚᲘ:
ᲙᲕᲚᲐᲕ ᲐᲡᲮᲔᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ,
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲐᲝ ᲘᲣᲝ ᲣᲝᲕᲔᲚᲘ, —
ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲐ ᲠᲝᲛ ᲑᲔᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ
ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲬᲣᲕᲘᲢᲐ ᲒᲣᲚᲛᲐᲜ ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲡ!

— — — — — —

ელეგია.

მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა,
მშობელს ქვეყანას ზედ მოჭფენოდა
და თეთრი ფოლი შორის მთებისა
ლაჟვარდ სიერცეში დაინთქებოდა.

არსაიდან ხმა, არსით ძახილი!!...
მშობელი შობილს არრას მეტყოდა,
ფოგეერ კი, ტანჯვით გამოძახილი,
ქართველის ძილშია კვნესა ისმოდა.

გიდექ მარტოკა... და შთების ჩრდილი
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება.
ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსლა გვექნება ჩვენ გალვიძება?...

1859 წ. ილ. ჭავჭავაძე.

გაზაფხული.

ტუეს ესხმება ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჭეიმის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა ტირის.

აუვავებულა მდელო,
აუვავებულა მთები;
მამულო საუვარელო,
შენ როსლა აუვადები?...

28 იანვარს 1861 წ. იდ. ჭავჭავაძე.

უადის ჯორი.

(ამ დროების არაკი).

ერთს უადს გაექცა მსუქანი ჯორი,
(არგისა ჭუკვდა იმისი სწორი)
გაიქცა საცდა გარდაიხვეწა,
მაგრამ ვერ იქნა, ვერსად მოძიეს,
თუმცა მძებნელთა დიდხანს ეძიეს.

დიდუერა მხეცმა ბევრი ირბინა
შემდეგ, როცა მან დასტოვა ბინა,
ბოლოს მიეიდა ერთსა წყლის პირსა,
სადაც ეძინა გამხდარსა ვირსა.

ჯორმა რა ნახა აქ ვირი, აუარ-ჩამოუარა,
დასუნა, დაიხვეიხვინა, ტუუპად წიხლები უყარა,
ბოლოს წამოსთქვა წუნარათა,
მაგრამ მკაცრათ და მწყრალათა:

«დახე ამ ვირსა უკიშოს, რეგვენსა, გაუზრდელსაო, (საო!
თავს უადის ჯორი ვადგევარ, ეურსაც არ ინძრევს გრძელ-
არა სკობს, ყადსა ვაცნობო, ხელსა აიღებს ძელსაო,
და ამგვარის უზრდელობისთვის ამ ვირს მოსწყვეტავს
წელსაო!...»

რა ესმა ვირსა ესენი, ფეხზედ წამოდგა მარდათა,
ჯორს ბატივი სცა სალამით, თავი დაუკრა მდაბლათა,
შემდექ წინ წადგა მორიდებითა
და მოახსენა მოწიწებითა:

— მშვიდობა თქვენსა მობრძანებასა, ბედნიერებავ დიდის
უადისო!
აქ განისვენეთ, ჩრდილი იჩრდილეთ, წყალი, ბალახი თქვენ-
თვის მწადისო,
თქვენს მეტს ამ ველში არვის მოუშვებ, არა ბირუტყვი აქ
არ დადისო,
მე აქ გახლდები, გემსახურები, როგორც შევიძლებ თქვენს
საკადრისსო.

ყადისა ჯორი, ამის გამგონე,
ველარაფერისა იქნა მომგონე:
აღრენდა ბირსა,
შესძახა ვირსა,
ვითომც გულითა
დაჩაგრულითა:

— როგორ მიბედავ ამგვარს უბედობას?
რათ არ მოიშლი შენს თავხედობას?
შენ ვინა გკითხავს წყალსა და ბალახს?
მაგ თქმისათვისა ამოგსვრი ტალახს,
გცემ და განგაძებ, ვერ ჭეშვებ ალაგს!...

მაშინ ვირმა თქვა ღიმილით მწარით:
— ახ, რა დროებას ჩვენ შევესწარით!...
— არა, შე მხეცო, შე უგუნურო! გულმტკივნეულთ მიუ-
გო ჯორსა:
— ყადს ჭეშვხარ მდიდარს, მასთან კარგს მხედარს, გინა-
ხავს, გივლის, როგორც რომ ქორსა,
კარგსა დარბაზში სუფოად გივლიან, ბზესა და ქერს გაუ-
მეავს, როგორც რომ ღორსა,
გხედნის, გასწავლის, ასე ვგონებდი, ველარ ვეშვებდი მე
შენსა სწორსა,
მაგრამ მე ვხედავ, შენ შენი ჯიში კარგს ვერას გაწვევს
ზარმაცსა მძოვრსა!...

ყადი გინახავს ნებიერათა,
შენ ვერ ირჯები წესიერათა,
და მადლობისა მაგიერათა,
დარბი, მოსულხარ ჩემს სამზერათა!...
მამა შენსა,
დედა შენსა

მე ვიცნობდი ძლიერ კარგათ:
დედა იყო ზარმაცობდა, გახდებოდა სხვისა ბარგათ,
მამა იყო ძლიერ მშრომი და მომთმენი, როგორც ძიძა,
დიდუურაანთ გვარის იყო, ჩემი იყო მკვიდრი ბიძა;
გხედავ, შენ ვერ დაგიმარხავს ვერც სწავლა და ვერცა წესი
და ვირის ჯიშიც დაგიკარგავს, გამოსულხარ უარესი!...

ჯორმა ბასუხი ვერ უგო ვირს ბაასში ვერცა ერთში,
და ვირი მწყრალი გამობრუნდა ჯორს ჰკრა ოთხი წიხლი
ფერდში!...

გერვისა ვჰკადრებ შედარებასა,
გერავის ვუძღვნი ამგვარს ქებასა;
მაგრამ დროებითა,
სავსეს ამაყებითა,
გპოვნი ერთს-ორსა
როგორც უადის ჯორსა!
ქვეყანა მოუვლიათ, სწავლა ვერ მიუღიათ,
მოდიან დიდკაცობენ და ბირი დაუღიათ!...
გისაც ჯიბეს უჭყავის ამ ჩვენს საწყალს დროშია
მამის ნაამაგევი ერთი-ორი გროშია,
ისიც ამაყობს, არავის სწორობს,
აბნევს ფულებსა და უადის-ჯორობს!
ზოგი ვალით ტანთ-იცომს, მდიდრად გამოპრაწნულა,
ხახით და ზნეობით კი საძაგლათ დაღმანჭულა;

შინ შიმშილით წივიან, ეს კი ძღება ვით ღორი
და კლუბში ასაყად დადის, როგორც რომ უადის ჟორი!

1861 წ. რაფ. ერისთავი.

ფუტურო.

როს სასეიროდ გავდივარ ველად,
ზათეხულში ბნელი შუაღამის დროს,
ხშირად შორიდამ ვსეტვრეტ მანათობლად,
ვით მართალს მნათობს, მაშინ ფუტუროს.

მაგრამ თუ ახლოს მივედი, ვნახე,
მაშინ კი სწორეთ გული მიკვდება,—
ხელში მირჩება მე დამპალი ხე
და ეს მაშინვე მომაგონდება:

არიან ჩვენში დღეს სწავლულები,
შორიდგან თუმცა ბევრს გვინათებენ,
მაგრამ ახლოს კი დალოცვილები
ფუტუროსავით ველარ გვარგებენ.

9 იანვარს 1862 წ. აკ. წერეთელი.

თვალები.

მიყვარს თვალები, მიბნედილები,
ეშხისა ცრემლით-დაქანცულები;
შაგრამ როს ვუსვრეტ ზამბახს ვარდთ-ველად,
განეწონვიან მათი ისრები.

მიეხვდი, თვალებო, ჩემო მკვლელებო, მაგ თქვენსა ქცევას,
მაგრამ ვით ელით თქვენგან კოდილის თქვენგან გაქცევას?

გიცი, რომე მტრობთ გულსა მგრძნობელსა,
უწყალოდ სტანჯავთ უენოს მსხვერპლსა,
მაგრამ რა ისართ ზეცად ადმართავთ,
მაშინვე ჭვრეტს საკურნებელსა.

თვალნო ლამაზნო! ვინ უძლოს თქვენსა ძლიერს ბასრობას,
თუ არა ვჭსუსვრეტდით თქვენგან სიკვდილში თვით უკვდავებას?!

1842 წ. ნ. ბარათაშვილი.

მელიქიშვილის და კამპ. სტანბაში, ტფილისში, ბალაეინის პროსპეკტზე, ზუბალოვის სახლში ისყიდება:

ჩონგური, ბარათაშვალის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და სხვა მწერლების ლექსების კრება, შედგენილი კ. ლორთქიფანიძისაგან. ფასი ერთი მანათი.

ქართული ანბანი, მეორე გამოცემა, 1865 წელსა. ფასი ერთი შაური.

გრიბულ ზლაპრული მოთხრობა ჟოლრჟ-სანდისა ფრანციულიდგან გადმოთარგმნილი დაეით ყიფიანისაგან, ფასი ორი აბაზი.

ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის, შედგენილი ი. ბ.

Военная исторія Грузинскаго Гренадерскаго Его Высочества полка, въ связи съ исторіей кавказской войны. Съ девятью картами и планами. Соч. Георгія Казбека. Ц. 3 р. съ пер. 3 р. 25 к.